

1:0 თბილისში...

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 15 ოქტომბერი.

"დინამო" (თბილისი) – "დინამო" (კიევი) 1:0 (0:0).

თბილისი: აბუსერიძე, ჟიბა, ჩივაძე, უკლება, ჩიქოვანი (გურული), კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, ჟვანია (კერესელიძე).

კიევი: მიხაილოვი, ჩერნიკოვი, ბალტაჩა, ევსეევი, დემიანენკო, ლოზინსკი, იაკოვენკო (ხლუსი), ბალი, ზავაროვი (ოლეფირენკო), კუზნეცოვი, ბლოხინი.

მსაჯი: ვ. დორონინი (მოსკოვი).

გააფრთხილეს სულაქველიძე.

სსრ კავშირის წლებიდან დასრულდა საფეხბურთო ჩემპიონატის სიურპრიზები თავიდანვე არ აკლდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველაზე საოცარი მაინც ბოლო წლების საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებათა ფავორიტების - კიევისა და თბილისის დინამოელთა აშკარა ჩავარდნა არის. მართლაც, ძალზე ძნელი ასახსნელია რატომ დათმეს ასე უცხად და მკვეთრად მოწინავე პოზიციები გუნდებმა, რომლებსაც სწორედ ამ ბოლო პერიოდში ჰქონდათ მოპოვებული სსრ კავშირის ჩემპიონობაც, საკავშირო თასიც, ევროპული პრიზებიც და კიდევ სხვა მრავალი მნიშვნელოვანი ჯილდო.

მართალია, ორივე გუნდის ძირითად შემადგენლობებში საკმარისი ცვლილებები მოხდა, ახალგაზრდობა ჯერ ჩამორჩება გამოცდილ ოსტატებს, მაგრამ ხომ საბრძოლო მწყობრში არიან ჩივაძე და ბლოხინი, სულაქველიძე და ბურიაკი, შენგელია და ბალტაჩა, გუცაევი და დემიანენკო, აგრეთვე, სხვა ცნობილი მოთამაშეები, რომლებიც მყარი რეპუტაციით სარგებლობენ საერთაშორისო საფეხბურთო სამყაროში.

ჩემპიონატის მსვლელობაში გათამაშების ცხრილში კიეველებს არაერთხელ ვხვდავდით ერთობ შეუსაბამო XII, XIV, XV ადგილებზე, თბილისელებმა კი საკმაოდ საფუძვლიანად დაიმკვიდრეს ადგილი იქ, სადაც სახიფათო ზონაა და მთელი ძალების მობილიზებაა საჭირო რომ შეინარჩუნონ ადგილი უმაღლეს ლიგაში.

ერთი კონკრეტული მატჩის სარეცენზიო წერილში ძნელია ლაპარაკი იმაზე, თუ რამ გამოიწვია ამ ორი აღიარებული გუნდის ეს გაუგონარი და ყოვლად გაუმართლებელი რეგრესი. თვით მათს თამაშსაც ერთგვარი "მუშტრის" თვალთ ვუყურებდით: მართლა ჩამორჩებიან კიეველი და თბილისელი ფეხბურთელები დნეპროპეტროვსკის "დნეპრს", მინსკის "დინამოს", ლენინგრადის "ზენიტს", ვილნიუსის "ჟალგირისს" და სხვებს, თუ წლებიდან წლებამდე წარუმატებლობა რაღაც სხვა "ამოუხსნელი" მიზეზებითაა განპირობებული?

დიდი მტკიცება არ უნდა იმას, რომ როგორც კიევის, ისე თბილისის დინამოელები ძალზე შორს არიან იმ საბრძოლო მზადყოფნისაგან, რომლითაც ისინი გამოირჩეოდნენ აღმავლობის ხანაში. ეს აშკარად ეტყობოდა ცალკეულ ფეხბურთელთა საშემსრულებლო ოსტატობასაც და მთლიანად გუნდის ტექნიკურ-ტაქტიკურ თამაშსაც, მაგრამ მაინც მათი დონე ისეთი დაბალი არაა, რომ კიეველებს მეექვსე ადგილზე ვხვდავდით გათამაშების ცხრილში, თბილისელებს კი, საერთოდ, სადღაც ბოლოში ჰქონდით დამკვიდრებული ადგილი. გუშინდელი მატჩით თუ ვიმსჯელებთ, ორივე გუნდის ხვედრი გაცილებით უფრო უკეთესი უნდა ყოფილიყო წლებიდან წლებამდე საფეხბურთო სეზონში. კერძოდ, კიეველებმა გუშინ გაცილებით უფრო მობილიზებულად და ენერგიულად ითამაშეს, ვიდრე სულ ახლახან, როცა მარცხი იწვნიეს საფრანგეთის "ლაველისგან" უეფა-ს თასზე.

მატჩის დასაწყისი აშკარად სტუმრებისა იყო. მათ მტკიცე, საფუძვლიანი კონტოლი დააწესეს შუა მიწოდორზე. აქედან ხშირად გაჰყავდათ სახიფათო პოზიციებში ბლოხინი, ზავაროვი, ფართო ტაქტიკურ მანევრებში აქტიურად მონაწილეობდნენ ბალი, იაკოვენკო, კუზნეცოვი...

ამ პერიოდში მასპინძლები უმთავრესად საკუთარ ნახევარზე ეწინააღმდეგებოდნენ კიეველებს და მხოლოდ ინდივიდუალური თამაშის მეოხებით ქმნიდნენ კონტრიერიშებს, მაგრამ შუა ტაიმიდან მოყოლებული გუნდმა მიაგნო თამაშს და საერთო მდგომარეობაც თანდათან გათანაბრდა.

გაცილებით უფრო ენერგიულად, კომბინაციურად ითამაშეს თბილისელებმა შესვენების შემდეგ. ამჯერად მათ უდავო ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მრავალსვლიან, სწრაფ კომბინაციებში მეტი მოთამაშე იყო ჩაბმული. სტუმრების დაცვას საგრძნობი დატვირთვა დააწვა, განსაკუთრებით - მეკარე მიხაილოვს.

მატჩის ბედი გადაწყდა 67-ე წუთზე, როცა ჩივაძემ ძალზე კარგად შეასრულა საჯარიმო დარტყმა, მაგრამ შეცდომა იქნებოდა ჩვენი გუნდის გუშინდელი წარმატება მარტო გუნდის კაპიტნის ამ ზუსტი

დარტყმით აგვეხსნა. თბილისელებმა დასკვნითი 45 წუთი დიდი აღმავლობით ჩაატარეს და, ჩვენი აზრით, დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს ტრადიციულ, მეტად ძნელ მეტოქესთან, რომელსაც ამ მატჩში ფრე არ აძლევდა ხელს (კიევის "დინამოს" ფრეთა ლიმიტი ამოწურული აქვს) და ამიტომ იძულებული იყო სრული მონდომებით ებრძოლა წარმატებისათვის.

ბ. ქორქია.

"ლელო", 16 ოქტომბერი, 1983 წ.